IOM
საქართველო
2020

IOM
UN MIGRATION

IOM
საქართველო
2020

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
საქართველოს მისია
თენგიზ აბულაძის ქ. # 12
0162 თბილისი
საქართველო
ტელ. +99532 2 25 22 16
iomtbilisi@iom.int
georgia.iom.int

ყდა: კარნათი, აჭარა © IOM საქართველო 2014

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)

პარტნიორებთან ერთად მუშაობს, რომ:

- **დაიცვას** მიგრანტთა ადამიანური ღირსება და კეთილდღეობა;
- **ხელი შეუწყოს** სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას მიგრაციის მეშვეობით;
- **უპასუხოს** მიგრაციის მართვის სფეროში მზარდ ოპერატიულ გამოწვევებს; და
- **განავითაროს** მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების აღქმის დონე.

IOM საქართველო

მოკლე ინფორმაცია

2020 წ.

IOM გლობალურ დონეზე

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია 1951 წელს დაარსდა და ის წამყვანი მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა მიგრაციის სფეროში. ის მოქმედებს პრინციპით, რომ ჰუმანური და მოწესრიგებული მიგრაცია სასარგებლოა როგორც მიგრანტების, ისე საზოგადოებისთვის. ორგანიზაციაში 173 სახელმწიფოა გაწევრიანებული. მას 394 ოფისი აქვს და 13 000 თანამშრომელი ჰყავს. საერთაშორისო საზოგადოების პარტნიორებთან ერთად ორგანიზაცია მუშაობს მიგრაციის სფეროში მზარდი ოპერაციული გამოწვევების გადაჭრაზე, მიგრაციის საკითხებზე ცოდნის ამაღლებაზე, მიგრაციის მეშვეობით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წახალისებაზე და მიგრანტების კეთილდღეობისა და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფაზე.



15.03.2019 მდგომარეობით

IOM რეგიონულ დონეზე

საერთაშორისო მიგრანტები მთლიანობაში და ს.-აღ. ევროპის, აღ. ევროპის და ცენტრ აზიის ქვეყნები (SEEECA)



ს.-აღ. ევროპაში, აღ. ევროპაში და ცენტრ. აზიაში (SEEECA-ს ქვეყნები) IOM საქმიანობს ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან. აღნიშნულ პერიოდში ამ რეგიონის ბევრმა ქვეყანამ გამოიარა მიგრაციასა და გადაადგილებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი გამოწვევები, რომლებიც თავის მხრივ დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცვლილებებთან. სამი ათწლეულის შემდეგ, გაზრდილი მიგრაციული ტენდენციების პირობებში, IOM კვლავაც აგრძელებს კომპლექსური მხარდაჭერის გაწევას ქვეყნების მთავრობებისთვის მიგრაციის მართვის და ზოგადად მიგრაციის რეგულირების პოლიტიკის, მარეგულირებელი ჩარჩოს და პრაქტიკული მექანიზმების დახვეწის მიმართულებით როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. IOM-ის მიზანია, მის მიერ მიგრაციის სფეროში დაგროვილი სიღრმისეული ცოდნა გაუნაწილოს ყველა მის ბენეფიციარს და წევრ სახელმწიფოებს, რომელსაც ის ემსახურება უფრო უსაფრთხო, მოწესრიგებული და კანონიერი მიგრაციის უზრუნველსაყოფად.

ალბანეთი
სომხეთი
აზერბაიჯანი
ბელარუსი
ბოსნია და ჰერცეგოვინა
საქართველო
ისრაელი
ყაზახეთი
ყირგიზეთი
მონტენეგრო
მოლდოვა
ჩდ. მაკედონიის რესპუბლიკა
რუსეთი
სერბეთი
ტაჯიკეთი
თურქეთი
თურქმენეთი
უკრაინა
უზბეკეთი
კოსოვო

**კოსოვო გაგებული უნდა იქნას გაეროს უშიშროების საბჭოს 1244 (1999) რეზოლუციის მნიშვნელობით*

IOM საქართველო

საქართველოში IOM 1993 წლიდან მოღვაწეობს. მისი მთავარი ოფისი თბილისში მდებარეობს. ორგანიზაციას აქვს აგრეთვე ოთხი ოფისი ბათუმში, ქუთაისში, ფოთსა და თელავში. გასული ორნახევარი ათწლეულის განმავლობაში IOM საქართველოს მთავრობას დაეხმარა მიგრაციის მართვის ეფექტიანი სისტემის შემუშავებაში, რომელსაც შეუძლია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპლექსური რეაგირების მოხდენა მზარდ მიგრაციულ გამოწვევებზე. IOM-მა საქართველოს გაუზიარა თავისი გამოცდილება ისეთ სფეროებში, როგორიცაა მოქმედება საგანგებო სიტუაციებში და კრიზისის შემდგომი რეაგირება, მიგრანტთა ჯანდაცვა, იმიგრაცია და საზღვრის მართვა, ადამიანით ვაჭრობის და საზღვრის კვეთის წესების დარღვევის თავიდან აცილება და მათთან ბრძოლა, მიგრაციის პოლიტიკა და კვლევა. მიგრაციის სფეროსთან კავშირში მყოფ ყველა სტრუქტურაში განხორციელდა ორგანიზაციული გაძლიერების ღონისძიებები. საქართველოს მთავრობამ მხარი დაუჭირა "უსაფრთხო, მოწესრიგებული და კანონიერი მიგრაციის შესახებ გლობალური კომპაქტის თაობაზე" გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის მიღებას. ამიტომ IOM განაგრძობს საქართველოს მთავრობისთვის დახმარების გაწევას მათ შორის ამ დოკუმენტით აღებული ვალდებულებების შესრულებაში.

IOM საქართველო

საერთაშორისო თანამშრომლობა და პარტნიორობები

IOM მუშაობს საქართველოს მთავრობასთან იმ მიმართულებით, რომ მიგრაციის მართვა შესაბამისობაში იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან და ეფუძნებოდეს კანონის უზენაესობას და მიგრანტთა უფლებებს. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან კოორდინაციით IOM მხარდაჭერას უწევს მიგრაციის ეროვნული სტრატეგიის შესრულებას, რისთვისაც ის ხელს უწყობს რეგიონულ და საერთაშორისო თანამშრომლობას. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად IOM-ს წვლილი შეაქვს საქართველო-ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების შესრულებაში და საქართველოს ეხმარება ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შენარჩუნებაში, მიგრაციის მართვის სფეროში თანამშრომლობის სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით. საქართველოსთან მუშაობის და თანამშრომლობის ფარგლებში IOM მხარს უჭერს გლობალური კომპაქტის შესრულებას, რომელსაც საქართველოს მთავრობამ ხმა მისცა 2018 წლის დეკემბერში. როგორც გაეროს საქართველოში წარმომადგენლობის ნაწილი, IOM ასევე აქტიურად უწყობს ხელს "მდგრადი განვითარების მიზნების" (SDGs) მიღწევისკენ მიმართულ ღონისძიებებს.

მიგრაციის მართვა

მიგრაციის მართვის სფეროში საქართველოს მთავრობასთან კომპლექსური თანამშრომლობით IOM ხელს უწყობს მიგრაციის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას. თანამშრომლობის ერთ-ერთ მთავარ სფეროს წარმოადგენს იმიგრაციის და საზღვრის მართვა, რომლის ფარგლებში შემუშავდა და საქართველოს ყველა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში შემოღებული იქნა შესაბამისი სისტემები, პროცედურები და ინსტრუმენტები, გაძლიერდა შსს-ს და საზღვრის მართვაში მონაწილე უწყებების ორგანიზაციული შესაძლებლობები. გარდა ამისა, IOM მხარს უჭერს საქართველოს მოქალაქეების

ნებაყოფლობით დაბრუნებას და რეინტეგრაციას (AVRR) 30 ქვეყნიდან. ორგანიზაცია ხელს უწყობს მათ მდგრად და გრძელვადიან რეინტეგრაციას შემოსავლის წყაროს გაჩენის და სოციალურ-ეკონომიკური მომსახურებების შეთავაზების მეშვეობით. IOM დახმარებას უწევს აგრეთვე მესამე ქვეყნის მოქალაქეებს თავიანთი წარმოშობის ქვეყნებში დაბრუნებასა და რეინტეგრაციაში. IOM ხელს უწყობს შრომითი მიგრაციის მართვას და ქვეყნებს შორის თანამშრომლობას კანონიერი ცირკულარული მიგრაციის სქემების ჩამოყალიბებით და საქართველოს მოქალაქეების უცხო ქვეყნების შრომის ბაზარზე დასაქმებით. IOM-ის მიზანია მიგრაციის პოტენციალის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის გამოყენება, მიგრაციის სარგებელზე ცნობიერების ამაღლებით და ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერებით ქვეყნის განვითარების გეგმებში და პროგრამებში მიგრაციის გათვალისწინება და ადგილობრივი განვითარებისთვის მიგრაციის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

IOM მუშაობს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაში მიგრანტების/დიასპორის ჩართულობის ხელშეწყობის მოდალობების ჩამოყალიბებაზე, ბიზნეს სექტორს და დიასპორას შორის ურთიერთობის და კომუნიკაციის დამყარების თანამედროვე ციფრული საშუალებების განვითარებაზე. ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობით, IOM აძლიერებს მიგრანტთა საჭიროებებზე ორიენტირებულ ჯანდაცვის სერვისებზე წვდომას.

საქმიანობები და საგანგებო სიტუაციები

კონფლიქტის შედეგად საქართველოს მოსახლეობის ნაწილის იძულებითი გადაადგილების გახანგრძლივებული მდგომარეობის პასუხად IOM დახმარებას უწევს დევნილებს სხვადასხვა ინიციატივებით, როგორიცაა არასაკვები ნივთების მიწოდება, საცხოვრისის გადაუდებელი რემონტი, ფსიქიკური ჯანმრთელობის და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა, შემოსავლის წყაროს გაჩენა და მცირე ბიზნესის განვითარება, მათ შორის განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფების დახმარება, როგორიცაა ნაღმის მოქმედების შედეგად დაზარალებულები. საქართველოს შსს-სთან და კატასტროფებზე რეაგირების საერთაშორისო ქსელთან მჭიდრო თანამშრომლობით IOM ხელს უწყობს მიგრაციული კრიზისის სამოქმედო ჩარჩოს (MCOF) და საზოგადოების ჩართულობაზე დაფუძნებულ კატასტროფების მართვას (CBDM), რათა უკეთ მოხდეს კრიზისების მიგრაციულ ნაწილთან გამკლავება. გარდა ამისა, როგორც ბანაკების მართვის და ბანაკების კოორდინაციის ბლოკის (CCCM) ერთ-ერთი გლობალური ლიდერი, IOM წამყვან როლს ასრულებს ბუნებრივი კატასტროფებისთვის მზადების მხრივ, გაეროს ადგილობრივ წარმომადგენლობასთან და ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობით.

მიგრაცია და თანამშრომლობის საერთაშორისო მექანიზმები

ბოლო წლებში მიგრაცია, როგორც პოლიტიკური საკითხი, სულ უფრო მზარდ ყურადღებას იპყრობს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, რადგან სახელმწიფოები სულ უფრო მეტად აღიარებენ მას როგორც ტრანსსასაზღვრო საკითხს, რომლის გადაჭრა შეუძლებელია ცალკე აღებული რომელიმე სახელმწიფოს მიერ და რომელიც მნიშვნელოვნად დაკავშირებულია განვითარებასთან. ეს კავშირი მიგრაციასა და განვითარებას შორის აღიარებულია IOM-ის კონსტიტუციაში და IOM-იც უკვე მრავალი წელია ეხმარება სახელმწიფოებს ეფექტიანი მიგრაციის პოლიტიკის შექმნასა და მიგრაციისა და განვითარების მიზნების ურთიერთდაახლოებაში.

მიგრაცია და 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნები

სამოქმედო პროგრამა, რომელიც 1994 წელს იქნა მიღებული მოსახლეობის და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე, არის პირველი საერთაშორისოდ აღიარებული შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ უთითებს კავშირზე მიგრაციასა და განვითარებას შორის. თუმცა მრავალი წლის განმავლობაში მიგრაცია თითქმის მთლიანად უგულებელყოფილი იყო განვითარების სფეროში, მათ შორის ათასწლეულის განვითარების მიზნებში. "2030 წლის პროგრამის" თაობაზე 2015 წელს მიღწეული შეთანხმება წარმოადგენდა ახალ ეტაპს, როდესაც დაიწყო ყურადღების მიქცევა კავშირებისადმი მიგრაციასა და განვითარებას შორის. კონკრეტული მითითება მიგრაციასთან დაკავშირებით მოცემულია მე-10 მიზანში, კერძოდ ამოცანა 10.7-ში, რომელიც უთანასწორობის შემცირებას ეხება: "მ ოწესრიგებული, უსაფრთხო, კანონიერი და პასუხისმგებლიანი მიგრაციის და ადამიანების მობილობის ხელშეწყობა, მათ შორის წინასწარ დაგეგმილი და კარგად მართული მიგრაციის პოლიტიკის მეშვეობით". მაგრამ მიგრაციაზე პირდაპირ მითითება სხვა ამოცანებშიც გვხვდება. მაგალითად, ამოცანები, რომლებიც ეხება სტუდენტთა მობილობის ზრდას იძულებითი შრომის და ადამიანით ვაჭრობის აღმოფხვრას, მიგრანტი მუშაკების უფლებების დაცვას და ფულადი გზავნილების ხარჯების შემცირებას. მიგრაცია გავლენას ახდენს და მიგრაციაზე გავლენას ახდენს მართვის ყველა სფერო და ამდენად მას შემხებლობა აქვს მდგრადი განვითარების ჩვიდმეტივე მიზანთან. მიგრაციის ეფექტიანი მართვა უმთავრესი ფაქტორია, რომელიც უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას, ხოლო ამ მიზნების უმრავლესობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მიგრაციისა და მიგრანტების მხედველობაში ჯეროვნად მიღებით.

ამოცანა # 10.7-ის შესრულება

2030 წლის პროგრამა ეყრდნობა გლობალურ კომპაქტს, კომპაქტის მე-6 მუხლი

გლობალური კომპაქტი უსაფრთხო, მოწესრიგებული და კანონიერი მიგრაციის შესახებ

Global Compact FOR Migration

2018 წლის 24 დეკემბრის #72/244 რეზოლუციით გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო "გლობალური კომპაქტი უსაფრთხო, მოწესრიგებული და კანონიერი მიგრაციის შესახებ".ეს ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას მიგრაციის სფეროში მიგრანტების, საზოგადოებების და სახელმწიფოების სასიკეთოდ, ადგენს 23 ამოცანას და პოლიტიკურ ვალდებულებებს და განსაზღვრავს შესაბამის "ქმედებებს". აღნიშნული დოკუმენტი კომპლექსურ მიდგომას ითვალისწინებს საერთაშორისო მიგრაციით გამოწვეულ გამოწვევებთან გამკლავებისა და მისი სიკეთეებით სარგებლობისადმი. გლობალური კომპაქტის ძირითადი შემსრულებლები თვითონ სახელმწიფოები იქნებიან, მაგრამ IOM მზად არის, სადაც ეს საჭირო იქნება, იმუშავოს გაეროს დაწესებულებებთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, რათა დაეხმაროს ქვეყნებს იმ ზომების მიღებაში, რომლებიც მიმართული იქნება მიგრაციის მართვის გაუმჯობესებისა და მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესრულებისკენ.

გაეროს მიერ გლობალური კომპაქტის მხარდაჭერა

მიგრაციის მართვის ჩარჩო (MiGOF)

აღნიშნული ჩარჩო სახელმწიფოების თხოვნით შეიმუშავა IOM-მა, რომლითაც IOM-ს ეთხოვა მიგრაციის მართვის სასურველი მოდელის შემუშავება. 2015 წლის ნოემბერში ეს ჩარჩო მოწონებული იქნა IOM-ის წევრი სახელმწიფოების მიერ. ის ითვალისწინებს სამ პრინციპს და სამ მიზანს, რომელთა შესრულების და დაცვის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება მიგრაციის ჰუმანურობა, მოწესრიგებულობა და მისი სიკეთეებით სარგებლობა მიგრანტებისა და საზოგადოების მიერ. ფაქტიურად ეს ჩარჩო ასახავს საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ გაგებას იმისა, თუ რეალურად რა იგულისხმება დაგეგმილ და კარგად მართულ მიგრაციის პოლიტიკაში, რომელიც განსაზღვრულია მდგრადი განვითარების მიზნების 10.7 ამოცანაში და საფუძვლად უდევს ამავე ამოცანით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დამტკიცებულია გაეროს სტატისტიკის კომისიის მიერ და მისი თანამწარმოებლები არიან მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) და გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი (UN DESA).



ამოცანა #10.7-ის განხორციელების მეთოდები

მიგრაციის მართვის ინდიკატორები (MGI)

მიგრაციის მართვის ინდიკატორები (MGI), რომლებიც 2015 წელს შემუშავდა მიგრაციის ჩარჩოს (MiGOF) გამოყენებით და ყურნალ "ეკონომისტის" ანალიტიკურ განყოფილებასთან თანამშრომლობით, ეხმარება ქვეყნებს მათი მიგრაციის პოლიტიკის სრულყოფილების შეფასებაში, ხარვეზების გამოვლენაში და ყოვლისმომცველი მიგრაციის სტრატეგიის შემუშავებაში. გარდა ამისა, ისინი წარმოადგენს საწყის ხაზებს, რომელთა მიხედვით იზომება წინსვლა ეროვნული და საერთაშორისო ვალებულებების, მათ შორის ამოცანა #10.7-ის შესრულებაში.

გაეროს ქსელი მიგრაციის საკითხებზე

2018 წლის მაისში გაეროს გენერალური მდივნის გადაწყვეტილებით შეიქმნა "გაეროს ქსელი მიგრაციის საკითხებზე", როგორც გაეროს დაწესებულებებისგან შემდგარი ურთიერთთანამშრომლობის ჯგუფი, რომლის მიზანია, უზრუნველყოს გაეროს მთლიანი სისტემის მიერ წევრი სახელმწიფოების ეფექტური და კოორდინირებული მხარდაჭერა მათ მიერ გლობალური კომპაქტის შესრულებაში, რეაგირებასა და გადასინჯვაში. ამ ქსელის კოორდინატორის და სამდივნოს ფუნქციას ასრულებს IOM. ქსელში შედის გაეროს სისტემის ის 38 დაწესებულება, რომელთა მანდატი შემხებლობაშია მიგრაციასთან. გლობალური კომპაქტის მიმღები სახელმწიფოები მიესალმნენ გენერალური მდივნის გადაწყვეტილებას ქსელის დაფუძნების შესახებ და მას დამატებით მიანიჭეს ორგანიზაციული გაძლიერების მექანიზმის ადმინისტრირების ფუნქცია. აღნიშნულ მექანიზმში შედის შემაერთებელი კვანძი, საწყისი ფინანსირების ფონდი და გლობალური ცოდნის პლატფორმა.

განახლებულია 2020 წელს

წინამდებარე საინფორმაციო ბარათში გამოყენებული მნიშვნელობები და წარმოდგენილი მასალა არ უნდა იქნას მიჩნეული მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ რაიმე აზრის გამოხატვად ნებისმიერი ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან რაიონის ან მისი ხელისუფლების სამართლებრივ მდგომარეობასთან ან მათ საზღვრებთან დაკავშირებით.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია 1951 წელს შეიქმნა და დღეს იგი არის აქტიური, მობილიზებული და შედეგზე ორიენტირებული სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხელს უწყობს ჰუმანურ და მოწესრიგებულ მიგრაციას მთავრობებისა და მიგრანტთათვის სტრატეგიული და პროგრამული საჭიროებების უზრუნველყოფით.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია თანამშრომლობს მრავალ სამთავრობოთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

IOM
UN MIGRATION